ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3094630

ნომერი: AR1476850

თარიღი : 07.02.2017

გაცემის თარიღი : 13.02.2017

გაცნობის თარიღი : 13.02.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯავახეთის ქუჩის დასაწყისში, ჯავახეთის ქუჩის დასაწყისში მარცხენა მხარეს;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თემურ ტორაძე პ/ნ 01013003519
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 37 კორ. 3 ბ. 11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები (არსებულ შენობაზე მიშენება) თავისი მახასიათებლებით არ განეკუთვნება I კლასის მახასიათებლების ობიექტს (შენობა სცდება I კლასის შენობას 60.00 კვ.მ-ს), (თქვენს მიერ არჩეული ნომეკლატურა არ შეესაბამება თქვენს მოთხოვნას) და იგი თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება ისეთი კლასის რეკონსტრუქციას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად. ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები.

აქვე გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ 2012 წლის 16 ოქტომბერს გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ფუნქციით: მრავალფუნქციური ობიექტი (საჭიროების შემთხვევაში არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენება-დაშენებით), საჭიროა იხელმძღვანელოდ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით და საკითხი დააყენოთ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.